წყალი

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	1051
ლექსიკური ერთეულების რაოდენობა	450
წინადადებებში სიტყვების საშუალო რაოდენობა	8
გვერდების რაოდენობა	16
კითხვის დონე:	მეცხრამეტე
ტექსტის მოკლე შინაარსი:	ტექსტი წარმოდგენილია წყლის შესახებ, მისი მნიშვნელობის შესახებ და ბუნებაზე ცუდი ზეგავლენის შემთხვევაში მისი უარყოფითი შედეგების შესახებ.

გაკვეთილის მიზანი:

გაგება / გააზრება:

- ტექსტის მთავარი იდეისა და დეტალების ამოცნობა;
- წყლის ძალის, მნიშვნელობის შესახებ მოსწავლეთა ინფორმირება;
- ადამიანის ზეგავლენის დაკავშირება წყალთან დაკავშირებულ სტიქიურ უბედურებებთან;
- ადამიანის საქმიანობების გაანალიზება წყლის სტიქიური უბედურების პრევენციისთვის და შესაბამისი საქმიანობების ჩამოთვლა.

რესურსები:

1. წიგნი - „წყალი“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა და პროექტორის ან ნეთბუკის გამოყენებით ჩვენება
2. დაფა, ცარცი.
3. სამუშაო ფურცლები.

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

1. სანამ ტექსტის წაკითხვას დაიწყებდეთ, ჰკითხეთ ბავშვებს, რა იციან წყლის შესახებ, ახსოვთ თუ არა „წყლის ციკლი“, რომელიც შეისწავლეს. თუ ახსოვთ, ასაუბრეთ მოსწავლეები წყლის ციკლის შესახებ, შეავსეთ მოსწავლეთა ცოდნა წყლის ციკლის თაობაზე:
2. გამოიყენეთ „რა ვიცი, რა მინდა გავიგო და რა გავიგე“ მეთოდი. დაფაზე და სამუშაო ფურცლების სახით ჩაატარეთ ეს აქტივობა. დაფაზე დახაზეთ შემდეგი ცხრილი:

რა ვიცი	**რა მინდა გავიგო**	**რა გავიგე**

აღნიშნული ცხრილის დაფაზე დახატვის შემდეგ დაიწყეთ გონებრივი იერიში და ჩამოწერეთ მოსწავლეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თუ რა იციან მათ წყლის შესახებ, შეგიძლიათ მოსწავლეთა პასუხები, როელიც ერთიდაიგივე საკითხს ეხება და სხვადასხვანაირად არის ფორმულირებული გააერთანოთ. მოსწავლეთა წინარე ცოდნის გარკვევის შემდეგ, გადადით მოსწავლეთა მოლოდინების გარკვევაზე და მოსწავლეების ჰკითხეთ თუ რისი გაგება სურთ წყლის შესახებ, რათა შეავსოთ ცხრილის მეორე სვეტიც მოსწავლეთა სურვილებიდან გამომდინარე. შეეცადეთ მოახდინოთ პროცესის ფასილიტაცია და მოსწავლეთა სურვილების სწორად ფორმულირება.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

1. მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურების შემდეგ გადადით კითხვის ფაზაზე. სთხოვეთ ბავშვებს წაიკითხონ ტექსტის 1-12 გვერდები. ტექსტი წასაკითხად შეგიძლიათ სთხოვოთ ბავშვებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი. ვინც ადრე დაამთავრებს კითხვას, სთხოვეთ, ხელახლა კიდევ გადაიკითხონ წიგნი.
2. 1-12 გვერდების წაკითხვის შემდეგ დაუსვით ბავშვებს კითხვები, გაიხსენონ „რა ვიცი, რა მინდა გავიგო, რა გავიგე“ ცხრილი. ამოიცნონ ის ინფორმაცია, რაც იცოდნენ, ამასთანავე, გააანალიზონ, რა გაიგეს ახალი, შემდეგ სთხოვეთ, შეადარონ, რისი გაგება სურდათ და რა იყო ტექსტში მოცემული. აღნიშნული კითხვა პასუხის შედეგები ასახეთ ტექსტის - „რა ვიცი, რა მინდა გავიგო, რა გავიგე“.

3. სთხოვეთ მოსწავლეებს გააგრძელონ კითხვა 13-17 გვერდების , სადაც წყალთან დაკავშირებული სტიქიური უბედურებებია აღწერილი. ვინც ადრე დაამთავრებს კითხვას, სთხოვეთ ხელახლა კიდევ გადაიკითხონ წიგნი. 13-17 გვერდებთან დაკავშირებითაც გამოიყენეთ „რა ვიცი, რა მინდა გავიგო, რა გავიგე“ მეთოდი

კითხვის შემდგომი აქტივობები:

რეფლექსია გააზრებასთან დაკავშირებით

1. გააანალიზეთ, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ტექსტი. ამისთვის რამდენიმე სტრატეგია შეგიძლიათ გამოიყენოთ. მაგალითად, მთავარი იდეისა და დეტალების გამიჯვნა. დაფაზე შეადგინეთ ცხრილი:

ძირითადი იდეა წყალს აქვს დიდი ძალა; წყალს ცვლის დედამიწას	**დეტალები**
ძირითადი იდეა	**დეტალები**
ძირითადი იდეა წყალს იწვევს სტიქიურ უბედურებებს	**დეტალები**

აღნიშნულ ცხრილში ჩაწერეთ მხოლოდ ერთი ძირითადი იდეა, ხოლო ბავშვებს სთხოვეთ, ჩამოთვალონ იმ ძირითად იდეასთან დაკავშირებული დეტალები, რაც ტექსტში იყო წარმოდგენილი. აგრეთვე სთხოვეთ ბავშვებს, თვითონ გამოკვეთონ ტექსტის მე-13 - მე-17 გვერდების მთავარი იდეა და მასთან დაკავშირებული დეტალები.

2.

	გამომწვევი მიზეზები	**მიღებული შედეგები**	**რა შეიძლება გავაკეთოთ**

			(იმსჯელეთ)
ღვარცოფი	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4	
ზვავი	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4	
წყალდიდობა	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4	
ცუნამი	1. 2. 3. 4	1. 2. 3. 4	

სთხოვეთ მოსწავლეებს, გააანალიზონ წყალთან დაკავშირებული სტიქიური უბედურებების გამომწვევი მიზეზები და მიღებული შედეგები. მოსწავლეების მიერ დასახელებული მიზეზები და შედეგები ჩამოწერეთ დაფაზე წარმოდგენილ ცხრილში. მიზეზებისა და შედეგების ჩამოყალიბებების შემდეგ იმსჯელეთ მოსწავლეებთან იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ადამიანმა აირიდოს სტიქიური უბედურებები ან ნაკლები უარყოფითი შედეგი მიიღონ მისგან

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს, სახლში მშობლებთან, და-ძმასთან ან მეგობართან ერთად მოიძიონ ინფორმაცია წყალთან დაკავშირებული ერთ-ერთი სტიქიური უბედურების შესახებ; დაწერონ მოკლე საინფორმაცია ტექსტი ამ სტიქიური უბედურების შესახებ, მათი წარმოსობის მიზეზების შესახებ, ადამიანის ზეგავლენის, მათი შედეგების და შესაძლო პრევენციის შესახებ. სთხოვეთ მოსწავლეებს ამ დავალების შესრულებისას აქტიურად გამოიყენონ ინტერნეტი, ვებ-გვერდი www. reading.ge, რომელზეც არის განთავსებული სხვადასხვა ინფორმაციული ტექსტი სხვადასხვა სახის წყალთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენების შესახებ. ინტერნეტის ან კომპიუტერის ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, სთხოვეთ მოსწავლეებს, ნახონ წიგნი ან მშობელმა, ნათესავმა, და-ძმამ მოუთხროს რომელიმე მათთვის ცნობილი სტიქიური უბედურების შესახებ, მის გამომწვევ მიზეზებზე და შედეგებზე, შესაძლებელია, ეს სტიქიური უბედურება მათ გეოგრაფიულ არეალში მოხდა ან მათ მეზობლად ცხოვრობდნენ ამ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარელებულები და ამ მოვლენის შესახებ მოამზადონ მოსწავლეებმა შესაბამისი დავალება.